პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ᲙᲣᲗᲮᲘᲡᲛᲬᲔᲠᲘ
ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
1941 წ.
№ 191 (6196)
ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მზრუმელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## ᲔᲣᲩᲝᲚᲔ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 12 აგვისტოს შესდგა, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უფროსის ბოდიგელ ამხ. ს. ა. ლოზოვსკი შუხო მხეცობისა და ანუბად ადგილის შემძრწუნებელ ფაქტებს, რასაც ჰიტლერელი ბანდიტები სჩადიან დაჭრილი წითელარმიელების მიმართ და გერმანიის არმიის მიერ დაკავებულ რაიონთა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ.

ლვოვში ჰიტლერელ ბანდიტთა მხეცობის შესახებ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ მოყვანილი ფაქტების პასუხად, გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ჩვეულებრივი ცინიზმით განაცხადა, რომ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა წერილები და დღიურები და მნახველთა ჩვენება ძარცვისა, ძალადობისა და მკვლელობის შესახებ ნაყალბევია და რომ „ლვოვის მოსახლეობა გულთადად შესალმა გერმანელ ჯარისკაცთა შესვლას ქალაქში“. თუ გერმანელ ბანდიტებსა და მათ დამფარველ ოფიცერებს, გამოდის, რომ ლვოვში არავითარი მხეცობა არ ყოფილა და რომ ჩვენ ცოლს ვწერთ გერმანიის „უმანკო“ არმიაზე. მაგრამ გებელსის ვერავითარ განცხადება ვერ გაამართლებს ავრიახსნილი მხეცობის ფაქტებს, რომელნიც ჩირქს სცხებენ გერმანის არმიას.

საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა შეეჩვია იმას, რომ ომის დროს ჯარისკაცები იბრძვიან, ხოლო მშვიდობიანი მოსახლეობა სამშარი მოქმედების სფეროს გარეშე რჩება. ჰიტლერმა ყოველივე ეს თავდაყირა დაყენა. ქალაქის ინრაიონის ხელში ჩაგდების შემდეგ მეხაკიფფერი ბანდიტები პატრიოტ მამაკაცებსა და ქალებს იჭერენ, აწამებენ, ხვრეტენ და ძალადობას მიმართავენ; ამასთან ამ ბრბოსათვის დამახასიათებელი ცინიზმით აცხადებენ გვამების გროვას „სახელმწიფო პოლიტსამმართველის მსხვრევლად“, ხოლო ფაშისტური პრესა საზიზღარ ცილისა-თამამს აწყობს თავისი მსხვრევლის გვამებზე.

ფაშისტთა მხეცობა ადამიანის გონებას ფარგლებს სცილდება, იგი ზოოლოგიური სამყაროს ფარგლებშიც ვერ თავსდება; ეს არის უხამსობის, საციზმის, აღვირახსნილი მხეცობის, სისასტიკის, პირადი გამდიდრებისადმი მისწრაფების ნარევი, რომელიც ზეზავებულია ფილოსოფიური მსჯელობით „უმაღლესი რასისა“ და მიხაკისფერი ჭირის „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ; ამ ნარევის შექმნა შეეძლოთ მხოლოდ ისეთ ნაბუზრუნს, როგორიც არიან ჰიტლერი, გებელსი, ჰიმლერი, გერინგი და სისლოის სამართლის დამნაშავეთა ბრბოს ფილოსოფოსი როზენბერგი.

ომები საერთოდ უბედურებაა ხალხის მასებისათვის. მაგრამ ჰიტლერმა მოახერხა გადეთაკეცებინა ეს უბედურება და სამუდამოდ ჩირქი მოსცხო გერმანიის არმიას, როგორც ბანდიტთა, მოძალადეთა, მკვლელთა, სისხლის სამართლის დანაშაულეთა და მცირეწლოვნების გაჩირწყნელთა არმიას.

ძარცვა, ცეცხლის წაკიდება, ქალების, მოხუცებისა და ბავშვების დახოცვა, ქალების, ქალიშვილებისა და მცირეწლოვნების გაუპატიურება — ასეთია ჰიტლერის არმიის ნამსახურობის სიკა.

სად შეაგროვა ჰიტლერმა ეს ორფეხა მხეცები, რომლებისთვისაც უცხოა ადამიანის ელემენტარული ვრძნობები? ვინ აღზარდა და გაწრთვნა სამხედრო ფორმით გამოწყობილი ეს ბანდიტები, რომელნიც ჯარისკაცის სახელწოდებისა და ადამიანის სახელწოდების ღირსნი არ არიან? ეს არის ჰიტლერისა და მისი ბანდის „კულტურული“ ნამუშევარი. ძარცვის, ძალადობის და პირადი გამდიდრების ქაოსგებამ ჰიტლერის გარშემო დარაზმა გერმანიის საზოგადოების ყველა ნაძირალი. საკმარისი იყო სიხიდისის ნაცვლად ჰკონოდათ მაგარი მუშტი, ადამიანთა წამებისა და მოკვლის უნარი, რომ მოხვედრილიყვნენ არა მარტო მოიერიშეთა და მცველ რაზმებში, არამედ ჰიტლერის სისტემის პოლიტიკური ხელმძღვანელებიც გამხდარიყვნენ. ჰიტლერელს მოეთხოვებოდა მხოლოდ ძალლური ერთგულება ფიუერრისადმი. ამისთვის მას შეეძლო ადამიანთა ძარცვა, მოკვლა, წამება, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალის ხმარება. ეს ნაძირალები უმადლეს რასად გამოაცხადეს, რომლისთვისაც ყველაფერი ნებადართულია. ისინი კი არ ემორჩილებოდნენ კანონებს, არამედ მათთვის ჰქმნიდნენ კანონებს.

ასე გამოზარდა ჰიტლერმა 300 ათასამდე ერთგული ადამიანი — მცველები და მოიერიშენი, რომელნიც მასთან დაკავშირებული არიან სისხლის სამართლის საერთო საქმეებით, საშინელ დანაშაულთათვის ჯეროვანი სასჯელის შიშით, ეიდეკო ადამიანები, რომელთათვის ძარცვა და მკვლელობა, ღლეობა და გარყვნილება ცხოვრების მიზანსა და აზრს შეადგენს.

თუ რით ცხოვრობენ ეს ნაძირალები, სჩანს ჰიტლერელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა წერილებიდან და დღიურებიდან. რომლებიც ხელში ჩაუვარდა წითელ არმიას. აი რასა სწერს ლოტა — ლეიტენანტ გოტფრიდ გერნერის ცოლი — ფრონტზე მყოფ თავის ქმარს:

„ხომ არ შეგიძლია ვინმე ჭუჭყიან ებრაელს წაართვა ბეწვის პალტო? მათ ბანდას ამით არაფერი დააკლდება. ამბობენ, რომ რუსეთში ბევრია ასეთი ნივთები. არ დაგავიწყდეს აგრეთვე საკოსტუმეს მატერია. ეცადე აგრეთვე მოაწყო ან ჩამოატანო რაღა: ეგ არამზადები ხომ დასანდობი არ არიან. ეს ახლანდელი ცუდი დროების მეცირეოდენი კომპენსაცია მაინც იქნებოდა. ძალიან ვცდილობ, მაგრამ აქ ვეღარ მიშვიცია რიგიანი საკოსტუმე მასალა“.

ასე სწერს ნაზი და პოეტური ლოტა თავის ვერნერს.

ცხადია რისთვის მოვიდნენ ეს ბანდიტები სსრ კავშირში იმის შემდეგ, რაც იოლი გამარჯვება მოიპოვეს დასავლეთში. მაგრამ საბჭოთა კავშირი მეტად მაგარი კაკალი გამოდგა ფაშისტთა კბილებისათვის. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ცერეშნიოული მარშით გაიგლდნენ ბერლინიდან მოსკოვამდე, ნამდვილად კი უკვე ბოლოდან დაჰკარეს მილიონნახევარზე მეტი კაცი, ხოლო მოსკოვი ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან შორს არის. ისინი ჯავრს იყრიან მოსახლეობაზე და ცნელი ასაწერია ის, რასაც ეს ძალადოთა მატარებელნი—„ბეველტ-ტრეგერები“ — სჩადიან.

ჰიტლერსა და მის დამქაშებს ეგონთ, რომ გამარჯვება ყოველგვარ დანაშაულს დაჰფარავდა, რომ მსოფლიოში არ აღმოჩნდებოდა ისეთი ძალა, რომელიც გერმანიის არმიას სისხლის ცრემლებს აღვრევინებდა ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის. ჰიტლერს ეგონა, რომ მოძალადენი გამარჯვების დაფნის გვირგვინით შეიმკობდნენ თავს და ხალხები ვეღარ დაინახავდნენ მათს საზიზღარ სახეს, რომ ისინი შესძლებენენ ყველა ქვეყანა ჩაებათ ანტიგოლშევიკურ ლაშქრობაში და ამით გიმართლებინათ, თავიანთი ბოროტმოქმედებანი. მაგრამ იგი მოსტყუვდა.

ჩვენ არასოდეს არ დავიავიწყებთ ჰიტლერელ ბანდიტთა ბოროტმოქმედებას დაჭრილ წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტუშაკთა მიმართ, არასოდეს არ დავივიწყებთ სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვას და ტლეტას, არასოდეს არ ვაპატიებთ ამ ბინძურ ცხოველებს ძალადობას ჩვენი მამაცი ქალების მიმართ.

ჰიტლერს, რომელიც გერმანიის ქვეთანამეგზე ომერთს ვოტანს სცემს თაყვანს და მსოფლიო ბატონობის თავისი წყურვილის მსხვერპლად მიაქვს მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე, შეუძლია დარწმუნებულნი იყოს, რომ შურისგება შორს აღარ არის. ჩვენ არ გვაქმაყოფილებს ბიბლიური კანონი „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“. ჰიტლერმა და მისმა ბანდამ კაცობრიობის წინაალმდეგ იმდენი საზიზღარი და საშინელი „დანაშაული ჩადიენს, რომ მათ მივუზღაოთ ღირსეულად — განსაკუთრებულად, ამ ბინძისფერ სადიზებისათვის ერთადერთი გასაგები კანონის მიხედვით, სახელდობრ: „ერთი თვალი ერთ წილ — ორივე თვალი, ერთი კბილისა წილ—მთელი დრეჩნი“.

• • •

ყველა კორესპონდენტს დაურიგდა საინფორმაციო ბიუროს ცნობების დამატებითი მასალები და დაჭრილ წითელარმიელთა, მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და გერმანიის არმიის მიერ დაკავებული საბჭოთა რაიონების სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ფაშისტების მიერ ჩადენილ მხეცობათა ფოტოგრაფიები.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(12 აგვისტოს საღამოს ცნობა)

12 აგვისტოს განმავლობაში ფრონტებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენს ავიაციას სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედებით იერიშები მიჰქონდა მტრის მოტომიქანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარის წინააღმდეგ.

11 აგვისტოს განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანიის 41 თვითმფრინავი. ჩვენ 34 თვითმფრინავი დაკარგეთ.

დაზუსტებული ცნობებით, 11 აგვისტოს ღამით მოსკოვზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის დროს ჰაჰოგდებულ იქნა გერმანიის 2 თვითმფრინავი.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის გემებმა და ავიაციამ 11 აგვისტოს მოსპეს მტრის 4 სატორპედო კატარღა და 2 ტრანსპორტი.

• • •

რამდენიმე დღის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლები დიდ ხარკინიგზის სადგურ მ-ს მახლობლად. ბრძოლის წინადღით ხარკინგზის კვანძი მტრის ხელში იყო. ჩვენი დაზვერვის ცნობებთ, გერმანელებმა ამ სადგურზე თავი მოუყარეს „სს“ დივიზიის და ფაშისტური დივიზიის „ვეკინგის“ ორ პოლკს ტანკებით, არტილერიითა და ნაღმმტყორცნებით. ფორნტის ამ უბანზე მომქმედი საბჭოთა ჯარების სარდლობამ საბრძოლო დავალება მიიღო: განედევნათ გერმანიის ჯარის ნაწილები მ-ს სადგურიდან და ახალი პოზიცია დაეკავებინათ რკინიგზის კვანძის სამხრეთ-დასავლეთით. ამ ამოცანის შესრულება დაეკისრა შენაერთს, რომელსაც ამბ. დ. ვ. ავერინი მეთაურობს.

სადგურზე გამაგრებული გერმანიის ჯარების წინააღმდეგ შეტევა გათენებისას დაიწყო. ჩვენი შენაერთის საარტილერიო ბატარეებმა გრიგალისებური ცეცხლი გაანაღეს. ცეცხლის ხაზს იერიშის მიჯნაზე მიპყვნენ მაიორ ფოფანოვის მარჯვენა ფლანგის ნაწილის მეომრები. მათ სწრაფი იერიშით გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის წინა ზხარე და დაიკავეს სადგურის მისასვლელები. მეორე იერიშით ამს. ფოფანოვის ნაწილმა სადგური დაიკავა. ამავე დროს ბრწყინვალედ ჩაატარა ოპერაციია შენაერთის მარცხენა ფლანგის ნაწილის მეთაურმა მაიორმა სოლდატენკომ. ისიც სადგურზე გამოვიდა თავისი მეომრებით. რკინიგზის კვანძი მამაცმა საბჭოთა ქვეითმა მებრძოლებმა დაიკავეს. რჩეულმა ფაშისტურმა ნაწილებმა უკან დაიხიე, ამასთან დაჰკარგეს ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, 4 ტანკი, 6 დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევი და დიდძალი სხვა საუფრველი. ბრძოლის ველზე გერმანელებმა 1.500-მდე მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი დასტოვეს.

ორი დღის შემდეგ გერმანელებმა მ-ს სადგურთან მოიყვანეს და ბრძოლაში გამოიყენეს ახლადმოსული მე-68 ქვეითი დივიზია. ფაშისტებმა სცადეს საბჭოთა ჯარის მარჯვენა ფლანგისათვის შემოვლოთ, ხურგი შემოსულიყვნენ და ეზი გადაეჭრათ ამ ნაწილებისათვის, რომლებმაც რკინიგზის კვანძი დაიკავეს. გერმანელთა მანევრი დროზე ეგო. ამ. ავერინის შენაერთის ნაწილებმა გერმანიის ჯარების რამდენიმე იერიშები მოიგერიეს, ეენერგიულ კონტრშეტევაზე გადავიდნენ და დიდ წარმატებას მიაღწიეს. მაცამა ქვეითმა მებრძოლებმა სასტიკად დაამარცხეს გერმანიის მე-188 ქვეითი პოლკი.

გერმანიის ჯარების მოსასპობად ბრძოლა კიდევ სამ დღეს გრძელდებოდა, რის შედეგადაც მე-68 ქვეითი დივიზია სავსებით იქნა განადგურებული. ბრძოლის ოთხ მტერი ცდილობდა ჭაყენებინა ეგრეთწოდებული „ფსიქიური იერიში“. მე-188 ქვეითი პოლკის ორი ბატალიონის, „სს“ დივიზიის რაზმებისა და „ვიკინგის“ პოლკების მთვრალი ჯარისკაცები ზეზე წამოდგნენ და ჩვენი პოზიციებისაკენ გამოქანდნენ. მაგრამ ფსიქიური იერიშნი სამარცხვინოდ ჩაშალა. კაპიტან ვრიდნეის და ამაროვის ბატალიონების მეომრებმა ახლო მანძილზე მოუშვეს „ფსიქები“, როგორც მშვ მოსწრებულად უწოდეს ფოთელარმიელებმა, და გაძლიერებით დაუშინეს ტყვიამფრქვევი და თოფი. ფაშისტები შედრეკნენ და გაიქცნენ. „ფსიქიური იერიში“ გერმანელებს ძვირად დაუჯდათ. ბრძოლის ველზე ფაშისტებმა ასობით მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

სულ მ-ს სადგურთან გამართული ბრძოლის დროს გერმანელებმა დაჰკარგეს 7.500 ჯარისკაცი და ოფიცერი—მოკლული და დაჭრილი, 15 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 27 ქვემეხი, 3 საზენიტო ბატარია, 24 ნაღმმტყორცნი, 70 ტყვიამფრქვევი, 600 ავტომატი და დიდძალი სხვა იარაღი.

• • •

№ ნაწილის სარდლობამ შეიტყო, რომ სანაპირო სოფელ კ-ში გერმანელ-რუმინელ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი გაჩერდა. ღამით ჩვენმა კატარღამ სოფელთან საზღვათ დესანტი მიიყვანა. წითელფლოტელებმა ხელი დაგდეს 200 ტყვე ჯარისკაცი და ოფიცერი, 3 ეერმანული სწრაფმსროლი ზარბაზანი, 25 ნაღმტყორცნი, ასობით შაშხანები და ხელყუმბარები და 4 ზარბაზანი.

• • •

განსაკუთრებული სიმამაცე და მოსაზრებულობა გამოიჩინა ბრძოლაში წითელარმიელმა სერგდამ. გერმანელთა ტანკი თავის ტყვიამფრქვევის ცეცხლით ხელს უშლიდა ჩვენი ოცეულის წინსვლას. მაშინ მამაცი წითელარმიელი მტრის ტანკს მიეპარა, სწრაფად შეტტა ზედ და ცელის მძლავრი დარტყმით გაღეხა ტყვიამფრქვევის ლულა. ოცეული იერიშზე გადავიდა. მან ხელთ იგდო გერმანელთა ტანკი. მეორე ბრძოლის დროს წითელარმიელმა სერგდამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა დაზვერვაში, შეკვრა ხელყუმბარები ეთაენა ბრძოლ ტანკი, ტყვიამფრქვევიან მოსპო 20 მოტოციკლისტი და ტყვედ ჩაგდო სამი გერმანელი ჯარისკაცი.

• • •

ამ დღეებში ქალაქ მ-ს მუშებისგან შემდგარი პარტიზანული რაზმი წარმატებით დაესხა თავს გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ დაკავებულ დაბა კ-ს. პარტიზანებმა ხშირი ნისლით ისარგებლეს, ტიეენთი გადალახეს მდინარე და ხელყუმბარები დააყარეს გერმანიის საკავალერიო ნაწილის შტაბის შენობას. პარტიზანმა მტვიამფრქვევებმა მალლობები დაიკავეს დაბის განაპირა უბნებში და გრიგალისებური სროლა აუტეხეს მოიდანს, სადაც ცხენების საბშურები იყო. გარშემორტყმის შიშით მტერმა სწრაფად მიატოვა დაბა, ამასთან დაახლოებით 70 ჯარისკაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. გერმანიის ჯარის ნაწილის შტაბი და რადიოსადგური სავსებით განადგურებულია.

რკინიგზელ პარტიზანებს კვლავ წარმატებით გამოჰყავთ მწყობრიდან გერმანელთა მძიმეები შემადგენლობა, რომელიც ფაშისტებმა მოიყვანეს მათ მიერ დაკავებულ ფრონტისპირა რკინიგზებზე. ამ დღეებში № ასაქცევს თავს დაესხა პარტიზანული რაზმი ამხ. გ-ს მეთაურობით. პარტიზანებმა ააფეთქეს გერმანიის ორი ორთქლმავალი, რომლებიც ასაქცევზე მანევრებს აკეთებდნენ.

გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწია ცხენოსანმა პარტიზანულმა რაზმმა, რომელაც მეთაურობს სანოფლო საბჭოს წევრი, პირველი ცხენოსნის არმიის ყოფილი კავალერისტი ამხ. სემენტკუი. პარტიზანები, რომლებმაც ტყვიამფრქვევები დიდგეს რამდენიმე საბარგულზე, მოულოდნელად ეცხმიან თავს ფაშისტებს. ამ დღეებში ცხენოსნებმა გერმანელ კავალერისტთა ორი ოცეული გაანადგურეს. მათ ხელში იგდეს ორი ტყვიამფრქვევი, 4 ტანკი და 82 ცხენი. ომკლეს 30 გერმანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი.

• • •

ღღითიდღე იზრდება რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მოძრაობა, რომელიც ჩამუშავა ალბათ ათიათასობით და ასიათასობით საბჭოთა პატრიოტები. გორკის მოლოტოვის სახელობის ავტომერხანაში უკანასკნელ ხანს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში მიღებულია ასობით რაციონალიზატორული წინადადებანი. მათგან მხოლოდ 15 წინადადება იძლევა წელიწადში 100 ათას მანეთ ეკონომიას. ძერჟინსკის სახელობის ბეტალურგიული ქარხნის ურნალის ბანერმოსილ მუშაებმა ამხ. ვეიატკოვსკიმ, ფირენკომ, პოლონსკიმ და ინეინრმა ამხ. სოლოხინმა დაამზადეს და დასდგეს მაგნიტური სეპარატორი, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი ხდება ნარჩენისაგან წელიწადში 20 ათასამდე ტონა ჯარითის მიღება. ორკუოლიკიძის მეტალურგიული ქარხნის ოსტატმა ამხ. ბალაბანკომ გამოიყენა ბრძმედების საქმენთა შეცვლის ახალი ხერხი და ამ ოპერაციის ნანგრძლივობა 5-6 წუთიდან 2½ წუთამდე შეამცირა. ქარხანა „ოკტომბრის“ მუშამაბ ამხ. კოსოვიმ და შალიგინმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს იმ მანქანის კონსტრუქციაში, რომელსაც ქარხანა უშვებს. ეს წლის მოლომდე 1.179 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა. კუიბიშევის ქარხანთმშენებელი ქარხნის ოსტატმა ამხ. ჩერკანოვმა შეიმტშავა ორიგინალური კონსტრუქციის ფრეზი, რომელიც ლითონის დიდ ეკონომიას იძლევა. მისი წინადადებით უაღრესად დეფიციტური ფოლადი, რისგანაც ბადე კეთდება, შეცვლილია სხვა უფრო იაფი მარკის ფოლადით. ბაროსლავლის ქარხანა „პროლეტარსკაია პობედას“ სამსახელო საამქროს ახალგაზრდა ტექნოლოგებმა ამხ. კოლესნიკოვამ და კუზნეცკამ წინადადება წამოაყენეს ბრინჯაოს ნამონასხმის მოდელის შეცვლის შესახებ. ამ წინადადების განხორციელებამ 15 პროცენტით შეამცირა ბრინჯაოს ხარჯი. ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის. მრანდავმა-ქალმა ამხ. ვესენკომ კომბინირებული საკრისით დაიწყო მუშაობა, რითაც რამდენჯერმე გაადიდა თავისი შრომის ნაყოფიერება. როსტოვის ოლქის მეჩეტნსკაიას მტს-ის კომბაინერმა ა. სტეპანოვმა გააკეთა კომბაინის მოწყობილობა, რის მეოხებითაც მარცვალი ადარ გაჰყვება ხოლმე ბზეს. ამკამად ეს მოწყობილობა მეჩეტნსკაიას მტს-ის ყველა კომბაინს უკეთდება.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(13 აგვისტოს ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ)

12 აგვისტოს ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენს ავიაციას სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედებით იერიშები მიჰქონდა მტრის მოტომიქანიზებული ნაწილების, ქვეითი ჯარისა და ავრიდრომების წინააღმდეგ.

• • •

11 აგვისტოს გერმანელთა თვითმფრინავებმა სამ ჯგუფად სცადეს ლენინგრადისაკენ შემოჭრა, მაგრამ უკუგდებულ იქნენ ჩვენი ავიაციისა და საზენიტო არტილერიის ცეცხლით. ჩამოგდებული მტრის 3 თვითმფრინავი.

• • •

როგორც უკვე აღნიშნული იყო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 11 აგვისტოს საღამოს ცნობაში, საბჭოთა მფრინავებმა დაანგრიეს რუმინეთის რკინიგზის ხიდი მდინარე დუნაიზე საადგურ ჩერნოვოდის მახლობელთა. ხიდი ბეტონარეთ ნაგებია. ხიდის წყალზედა ნაწილის სიგრძე 750 მეტრს აღწევს; მისი ქვის ბურჯების სიმაღლე უფრის 35 მეტრს წყლის დონიდან. ხიდის საერთო სიმაღლე უმაღლეს წერტილში 75 მეტრს აღწევს მდინარის დონიდან. ხიდს დასავლეთიდან აერავს ვეებერთელა ესტაკადა 912 მეტრი სიგრძისა. ამრიგად, მთელი ჩერნოვოდის ხიდის სიგრძე 1.662 მეტრს შეადგენს.

საბჭოთა მფრინავების მიერ ჩერნოვოდის ხიდის ბომბარდირების ბრწყინვალედ შესრულებულ ოპერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ხიდზე გადიოდა მთელი სარკინიგზო მიმოსვლა რუმინეთის ძირითად ცენტრებსა და რუმინეთის მთელს შავი ზღვის სანაპიროს შორის. ამ ნაგებობის დანგრევამ შეაჩერა მთელი სარკინიგზო მიმოზიდვა ბუქარესტსა და კონსტანცის საბჭედრო ნავსადგურს შორის. დუნაის მარჯვენა ნაპირი და შავი ზღვის რუმინეთის ნავსადგურები დიდი ხნით მოსწყვეტენ რუმინეთის თავადრ ნაწილს. შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ნავთსაცავები ვეღარ შეივსებენ ახლა საწვავს, რადგან ხიდთან ერთად დანგრეულია ხიდის ქვედა საგებეკეთ გაყვანილი ნავთსადენიც.

ჩერნოვოდის ხიდის დანგრევის ოპერაციას ხელმძღვანელობდა ორგზის ორდენოსანი ამხ. შუბიკოვი. საბჭოთა თვითმფრინავებია ჯგუფი რუმინეთის სანაპიროს დიდ სიმაღლეზე მიადგა რამდენიმე ეშელონად.

ზღვის ნაპირიდან ხიდამდე 60-მდე კილომეტრი რჩებოდა. მტრის საზენიტო ბატარეებმა ძლიერი სროლა ატეხეს. მაგრამ რუმინელი არტილერისტები ცუდად ისროდნენ; მტრის ჭურვნი არც ერთი ნამტვრევი არ გაჰკარებია ჩვენს თვითმფრინავებს. მალე გამოჩნდა ჩერნოვოდის ხიდის თაღები. მდინარის ფოზზე გარკვევით ჩანდა ფერმების ჯეარისებრი ალაფები და სამი გიგანტური 35-მეტრიანი ბურჯი. დუნაის მარჯვენა ნაპირზე სჩანდა ნავთგადამეშვავეები ქარხანა „კოლუმბიის“ და ცემენტის ქარხანა „ორიენტალის“ შენობები. ქვედანაყოფები რეგოლებად დაიყვნენ და ხიდის გასწვრივ პიკირებით რიგრიგად დაუშინეს ხიდს ყუმბარები. ხიდის მცველმა საზენიტო დანადგარებმა სროლა ატეხეს. მაგრამ ამ დროს საბჭოთა თვითმფრინავების რგოლი დაბლა ფრენით ეკვეთა რუმინელ არტილერისტებს. ერთი ბატარია ჩაჩუმდა. ორი წუთის შემდეგ სროლა ატეხა მეორე ბატარიამ. მაგრამ ჩვენი თვითმფრინავებმა რგოლა მეორე კვეთებისას ისიც გამოიყენეს მწყობრიდან. დარჩენილმა ტყვიამფრქვევებმა და ერთმა ქვეძმეხმა ხიდის ბომბარდირებას ხელი ვეღარ შეუშალეს. ჩერნოვოდის ხიდს დიდი ყალიბის ყუმბარები მოხვდა. ხიდის ერთი 140-მეტრიანი ფერმა მთლიანად მდინარეში ჩაინგრა, ხიდი დანგრეულია, საბჭოთა ჭფრინავებმა ბრწყინვალედ შეასრულეს საბრძოლო დავალება.

• • •

წითელი არმიის მებრძოლები თავგანწირვით იცავენ ბრძოლის დროს თავიანთი მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სიცოცხლეს. წითელარმიელმა შადრიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმებს ჩაგრულ სლავებს

## სლავი ხალხების წარმომადგენელთა გამოსვლები სრულიად-სლავურ მიტინგზე, რომელიც 1941 წლის 10 აგვისტოს შესდგა მოსკოვში *

### პოლონელებო, დგება ქამი შურისგებისა!

### პოლონელი გენერლის მარიან იანუშაიტისის სიტყვა

მოგმართავთ თქვენ, ჩემო ძმებო პოლონელებო, და ყველა ჩვენს მოძმეს — გერმანელი ბარბაროსების მიერ განაწამებ სლავებს.

ათასი წელიწადია იბრძვის პოლონელი ხალხი გერმანიის სასტიკი შემოტევის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დაეცნენ დასავლეთის ტომები: ობოტრიტები და ვენეტები, დარჩნენ მხოლოდ ლუჟიცელნი ნაშთები.

ახლა ჩვენ განვიცდით სლავთა ძველის-ძველი მტრის ახალ საშინელ შემოტევას დანარჩენ სლავ ხალხებზე.

ომის პირველ დღიდანვე პოლონეთი სისხლისაგან იღვრება, ჰკარგავს მილიონიან არმიას და დამონებული ხდება. პოლონეთის მიერ გაწეულმა წინააღმდეგობამ და გადებულმა მსხვერპლმა ჩაფუშა მტრის გეგმები. იერიში მიიტანა რა სლავურ აღმოსავლეთზე, მტერი ომში ჩაება დასავლეთშიც. ამიტომ დაგვიანდა მისი თავდასხმა სლავთა ყველაზე დიდ გაერთიანებაზე — სლავების საბჭოთა გაერთიანებაზე. ამაში მდგომარეობს პოლონეთის როლი და მისია ამ ომში. და სწორედ ეს არის გერმანიის ფაშიზმის დაღუპვის დასაწყისი. პოლონეთის, ჩეხიის, იუგოსლავიისა და ჩვენი სხვა ძმების უზომო მსხვერპლის ფასად ჩვენ საკმარი დრო მოვიგეთ იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო წითელი არმიის გამარჯვება.

სწორედ ჩვენ, პოლონელებს, წილად ვგხვდა პატივი ჩვენი არმიისა და მთელი ხალხის წამების ფასად დავეფწყო გადამწყვეტი ომი ამ ქვეთა-ქვეს ისტორიულ ბრძოლაში სლავებზე გერმანელთა შემოტევის წინააღმდეგ.

მაგრამ იმისათვის, რომ დავამარცხოთ ასეთი მძლავრი და სასტიკი მტერი, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ. ეს არის სლავებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

სლავები უნდა გაერთიანდნენ დამპყრობლის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლისათვის.

ჩვენ, პოლონელებო, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით.

ამ ომმა ჩვენ მოგვისწრო საბჭოთა კავშირთან ძველი მეზობლური დავის მომეტნტში.

მიუხედავად ამისა, პირველი შესაძლებლობის მიღებისთანავე პოლონეთის მთავრობამ შეთანხმება დასდო თავის მეზობელთან.

გენერალ სიკორსკის მთავრობამ ორმა პოლიტიკური გონიერება, პოლონელი ხალხისადმი უდიდესი რწმენა და ისტორიული პროცესის ნამდვილი გაგება გამოიჩინა, როდესაც შეთანხმება დასდო საბჭოთა კავშირთან. ამიტომ მთელ პოლონელი ხალხი მხარს დაუჭერს სიკორსკის საქმეს.

პოლონელებო! ჩვენი მოვალეობაა დაუყოვნებლივ გავაკაროთ ცხოვრებაში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება. ახლა არ უნდა ექნეს ადგილი ეჭვს! ახლა საჭიროა ჰიტლერიზმის დამარცხება! ეს შეთანხმება და ბრიტანელი ხალხის დახმარება ჩვენი საკუთარი გამარჯვების, ყველა მოძმე სლავისა და სულიერად ჯანსაღი მთელ კაცობრობის გამარჯვების საწინდარია.

პოლონეთი ჰქმნის ოკრეთვე არმიას წითელი არმიის მხარეზე. მისი ,ადრები სწრაფად უნდა შეიესოს. მაგრამ ჩვენ ზურგშიც უნდა ვემზადოთ სლავ ბავშვთა ტკბილეთბან საბრძოლველად. უნდა ვემზადოთ გონიერურად, რადგან მტერი ცბიერი და სასტიკია. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ფეიერვატნი. არაფერი არ უნდა გავაკეთოთ მოუფიქრებლად! ორგანიზაცია, დისციპლინა და ინიციატივა ბრძოლაში, შეუპოვრობა და სიმამაცე — ეს არის ჯარისკაცისა და პოლონელების ძველი ღირსებანი.

გადამწყვეტი გამარჯვების ქამი მოახლოვებულია!

პოლონელებო! სლავებო! დგება სლავების ათასწლოვანი დეკნოთათვის, დასავლეთ სლავების გაერთიანებისათვის, დანარჩენი სლავებისა ზღვა სისხლისა და ცრემლისათვის შურისგების ქამი.

მაგრამ ჩვენ ვიბრძოლებთ არა მარტო ჩვენი გასთავისუფლებისათვის, არამედ ყველა ხალხის გასთავისუფლებისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის.

გერმანიის ფაშიზმი არის არა მარტო სლავების, ფრანგების, არამედ აგრეთვე ინგლისელების მტერიც.

გერმანიის ფაშიზმი არის ადამიანზე ადამიანის ძალადობის განსახიერებელი, გამოკვეთილი სიზიზღარი სამყაროს, მონობისა და ძალადობის სამყაროს.

გერმანიის ფაშიზმის მოსპობა ნიშნავს ახალი სამყაროს, ახალი ხანის შექმნის მოახლოებას, როდესაც გაჰქრება ძალადობა და ჩაგრა. ახალი ხანა, როდესაც ადამიანზე ადამიანის ძალადობა ისეთსავე წინააღმდეგობას და ზიზღს გამოიწვევს, როგორსაც ჩვენ ამ ქამად დავუპირისპირებთ ბავშვების და ქალების გერმანელ ჯალათებს.

### სლავებს ჯავთან ერთი მფერი — ჯიფლერის გერმანია

### ჩეხი მეცნიერის პროფესორ ზდენეკ ნეედლის სიტყვა

ძვირფასო ძმებო ჩეხებო, სლოვაკებო და იმპერატორატის უკრაინელებმ!

ჩვენ მოგმართავთ მნიშვნელოვან, ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში. სამე ეზები ყველა ჩვენგანის მომავალს, მთელი ევროპის მომავალს, მთელი კაცობრიობის მომავალს. ჩვენ ვიცით, თუ როგორი ექნება ეს მომავალი. მთელი კაცობრიობის მტერი — ჰიტლერი აშკარად დაფავს სულს. ბორონტებით ალსავსე, იგი გაადფრენით დაესხა თავს სსრ კავშირს. მაგრამ რა გამოვიდა აქედან? იგი სისხლით იცლება საშინელი ჭრილობებისაგან და არავითარი ეშვი არ აქვს, რომ ეს ჭრილობები სასიკეთოდ ოყოთ. მაგრამ თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ როგორ იქცევა ძხელი, როდესაც მისა ალსასრული მოახლოვდება. ჰიტლერი კი მხეცზე უარესია. მან საკმაოდ გვიჩვენა საქმით მოსპობის, მოკვლისა და წამების უნარი. მაშ რა იქნება, როდესაც მას უკანასკნელი წამი დაუდგება? მაშინ მის გაკეფვებს საზღვარი ალარ ექნება. და ვის წინააღმდეგ იქნება მიმართული, უწინარეს ყოვლისა, მისი გაამფორება? ჩვენს წინააღმდეგ, სლავების წინააღმდეგ.

გერმანელ ფაშისტებს საშინლად სძულთ ყველა სლავი. ამ სიძულვილს ისინი ყოველგვარი ფსევდომეცნიერული თეორიის საძოსელში ახვევენ. ხან ამტკიცებენ, რომ სლავები „უმდაბლესი რასაა“ და ამიტომ მათ, გერმანელმა ფაშისტებმა, როგორც „უმაღლესმა რასამ“, უნდა დაიმონონ ისინი; ხან ამბობენ, რომ გერმანელებს სჭირდებათ „საარსებო სივრცე“ და ამიტომ უნდა დაუპატრონოს სლავთა მიწა-წყალს. და ყოველივე ამაში მუდამ აშკარად გამოსჭვივის სიძულვილი, სიძულვილი და სიძულვილი.

სლავი ხალხები მიუხვდნენ ამას და ერთიან კედლად დგანან ჰიტლერისა და მისი ფაშისტური ბანდების წინააღმდეგ. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები ყველა სლავური ქვეყნიდან და ვიცით, თუ როგორ ვაკაკცურად იქცევიან ჩეხები და სლოვაკები, უკრაინელები და პოლონელები, სერბიელები და სლოვენები, ხორვატები და ბულგარელები, — ყველანი ხელიჩაჭიდებული მივდივართ. აქამდე არ არსებობს ერთი სლავური ხალხის დავა მეორესთან. ამჟამად არის მხოლოდ ერთი მტერი: ჰიტლერის გერმანია. და არის მხოლოდ ერთი ამოცანა: ჰიტლერისა და მისი ჯარის მოსპობა. და ერთი მიზანი: თავისუფლების მოპოვება სლავ ხალხთათვის, რათა თვითეულ მათგანს შეეძლოს, როგორც თანასწორრთა შორის, დამშვიდებით იცხოვროს და იმუშაოს საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ხალხის მთელი კაცობრობის საკეთილდღეოდ.

მე კარგად ვიცი და ყველამ აქ კარგად იცის, თუ რა ვაკაკცურად იქცევიან ჩეხოსლოვაკები, რა მძიმე ჭრილობებს აყენებენ ჩეხი მუშები ჰიტლერის სამხედრო მრეწველობას, როგორ მალავენ ფერმაელი დამპყრობლებისაგან ჩეხი გლეხები ალებულ მოსავალს, როგორ უჭირავს თავი ჩეხ ინტელიგენციას ჩვენი შესანიშნავი სტუდენტების, მწერლებისა და მხატვრების მეთაურობით, — ყველას, ყველას, უკანასკნელ კაცამდე, უკანასკნელ ბავშვამდე.

მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ კმარა. ახლა ისეთი დრო, როდესაც ხალხს ბრძოლა საკუთარი მეცადინეობით შეუძლია დაამსახურროს და უზრუნველჰყოს თავისი მომავალი. ჰიტლერს ეომება, დიადი და მამაცი წითელი არმია. ჰიტლერს ეომება ინგლისი. ჰიტლერთან ომში ეხმარება მათ ამერიკა. მსოფლიოს სამი უდიდესი სახელმწიფო, რომელთაც დაუშრეტელი ეკონომიური და ადამიანთა რესურსები მოუპოვებიათ. მაგრამ საბედისწერო შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რომელიმე ამ დიდ სახელმწიფოთაგანი უჩვენოდ მოიპოვებს ჩვენთვის თავისუფლებას. ჩეხი ხალხი, უწინარეს ყოველისა, მუდამ თვითონ, საკუთარი ძალებით ჰქმნიდა თავის მომავალს. გიიხსენეთ, როგორ ებრძოდა იგი მომავლის მოსაპოვებლად. გიიხსენეთ თუნდაც ჰუსიტი მეირები, როდესაც ჩეხების წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო გამოდიოდა. ჩეხებმა არ დაჰყარეს იარაღი, არაფერი დაუთმეს და გამარჯვება მოიპოვეს. ასე იყო მაშინ, ასე იყო სხვა დროსაც, ასე უნდა იყოს და იქნება ახლაც.

მე ვიცი, რომ ყველა პატიოსანი ჩეხის, სლოვაკის და იმპერაკორატელი უკრაინელის ოცნებაა მშვიდად იცხოვროს და იმუშაოს. ახლა ჩვენ ზღაპრად გვეჩვენება ის დრო, როდესაც ჩვენს შვილებთან ერთად კვლავ ვიცხოვებენ ჩეხიის მშვენიერი ბუნების წიალში და გავიხარებთ ჩვენს სლოვაკ და უკრაინელ ძმებთან ერთად.

მაგრამ ეს ზღაპარი რომ სინამდვილე გახდეს, ამისათვის ჩვენ უნდა მოვიხმაროთ მთელი ჩვენი ძალა. ახლა მოსვენების დრო რიდია, ახლა ომის ქამია, საშინელი ომისა ომისთვის, რომ შესაძლო გახდეს მშვიდობიანობა. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავბედოთ, ასეთია ამჟამად ჩვენი ისტორიული ნაციონალური და საკაცობრიო ამოცანა. ჰიტლერის მოსპობას უნდა უწყობდნენ ხელს ზრა ცალკეული ადამიანები, არამედ ყველანი ულტლნა. და არა მარტო ღღეს და არა მარტო ღღისთა, არამედ ყოველთვის, გამუდმებით, ღღისითაც და ღამითაც. და სულ უფროდაფერო მტკაცდ. ეს, რასაც ჩვენ ღღეს ვაკეთებთ, ხვალ ალარ იქნება საკმარისი. ახლა შეეკვების დრო როდა. იმგვარად ბრძოლა შეიძლებოდა ძირმაშპალი ავსტრიის წინააღმდეგ. გერმანიის ფაშიზმი საშინელია: არავითარი ეარალი არ იქნება ზედმეტად მტკიცე, ზედმეტად ბასრი, ზედმეტად ძმიმე მის წინააღმდეგ. მაშ მოსპეთ იგი ყოველგვარი საშუალებით, მოსპეთ მისი ჯარისკაცები. მისი იარაღი, მისი მარაგი, მისი ტრანსპორტები. ასე ამბობდნენ ოდესღაც თამბრიტები: ახლა შეწყალების დრო არ არის, ახლა დასჯისა და მრისხანე შურისგების დროა.

და ამას მოვუწოდებ მე ჩეხიას, ჩვენს სლოვურ ოჯოოან პრაოს. ჩეხიის ყოველ კუთხეს, ამას მოვუწოდებ ჩემს სამშობლო ლტოფიძოლს და ჩეხიის მთელს მშვენიერ ალმოსავლეთ მხარეს, ამას მოვუწოდებ ბრონოს და ოსტრავის, ოლომოუსელეთ მხარეს, ამას მოვუწოდებ ბრონოს ეიროსკეთ, ოსტრავა-ბეზენეც